



USAID
ამერიკელი ხალხისგან



საქართველოს
ახალგაზრდა
იურისტთა
ასოციაცია

თავისუფალი, სამართლიანი და
თანასწორი საარჩევნო-პოლიტიკური
ციკლი 2022-2025 წლებში

საინფორმაციო ბიულეტენი №35
აგვისტო, 2022

თბილისი, 2022

ხელმძღვანელი:

ნანუკა ყრუაშვილი

ავტორი:

ირაკლი ჯოჯუა

საინფორმაციო ბიულეტენის მომზადება შესაძლებელი გახდა ამერიკელი ხალხის გულუხვი დახმარების წყალობით, რომელიც აშშ-ს საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) მეშვეობით იქნა გაწეული. ბიულეტენის შინაარსზე პასუხისმგებელია „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია“ (საია). ის შესაძლოა არ ასახავდეს USAID-ის ან აშშ-ის მთავრობის შეხედულებებს.



USAID
ამერიკელი ხალხისგან

საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციამ (საია) 2022 წლის აგვისტოდან მთელი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო პროექტის „თავისუფალი, სამართლიანი და თანასწორი საარჩევნო პოლიტიკური ციკლი 2022-2025 წლებში“ იმპლემენტაცია. პროექტის ერთ-ერთი მიზანია საარჩევნო გარემოს გაუმჯობესების ხელშეწყობა მონიტორინგისა და მტკიცებულებაზე დაფუძნებული ადვოკატირების გზით. ამის მისაღწევად ორგანიზაცია დააკვირდება მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებს და შეიმუშავებს რეკომენდაციებს, რომლებსაც გააცნობს საზოგადოებას და წარუდგენს გადანყვებილების მიმღებ პირებს.

I. კამპანია აშშ-ის ელჩის წინააღმდეგ

ივლისში „ქართული ოცნებიდან“ წამოსულ დეპუტატთა ახლად დაფუძნებული მოძრაობის¹ მხრიდან ამერიკის დიპლომატიური წარმომადგენლობის მისამართით გაკეთებული ნეგატიური განცხადებები ფართო დისკუსიის საგანი გახდა.²

„ქართული ოცნების“ ყოფილი დეპუტატები აშშ-ის ელჩს მოსამართლეებზე ზენოლაში, ასევე სასამართლოში კლანური და სელექციური მიდგომების დამკვიდრებაში ადანაშაულებდნენ.³ „ქართული ოცნების“ თავმჯდომარის აზრით, დეპუტატების მხრიდან დიპლომატიური წარმომადგენლობის მიმართ კითხვების დასმა ჩვეულებრივი მოვლენა იყო.⁴ მან ასევე გააკრიტიკა აშშ-ის ელჩი კელი დეგნანი, ვინაიდან ის ზენოლის შესახებ ბრალდებებს არ გამოეხმაურა.⁵

1-ელ აგვისტოს ერთობლივი განცხადება გამოაქვეყნა ხუთმა ქალმა დეპუტატმა,⁶ რომლებმაც სტრატეგიული პარტნიორის და მისი წარმომადგენლობის მიმართ გამოთქმული ბრალდებები გააკრიტიკეს. მათი თქმით, დეზინფორმაციული კამპანია საფრთხეს უქმნიდა საქართველოს ეროვნულ უსაფრთხოებას.⁷ 4 აგვისტოს კი თითქმის სრულმა ოპოზიციურმა საპარლამენტო შემადგენლობამ - 48 დეპუტატმა - დაგმო „ცილისმნამებლური კამპანია“ დიპლომატიური წარმომადგენლობების

¹ „ქართული ოცნების“ 4-მა ყოფილმა დეპუტატმა შექმნა პოლიტიკური მოძრაობა, რომელიც, დამფუძნებლების განმარტებით, „სიმართლის გამჟღავნებას“ აპირებს საქართველოს ხელისუფლებაზე დასავლური პარტნიორების მხრიდან ზენოლასთან დაკავშირებით. „მაჭარაშვილი ყაველაშვილს, ხუნდაძესა და სუბარს უერთდება“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 28 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31963641.html>, განახლებულია: 10.01.2022.

² „ხალხის ძალა“-სუბარმა, ყაველაშვილმა, ხუნდაძემ და მაჭარაშვილმა მოძრაობა დააფუძნეს, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 2 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31970666.html>, განახლებულია: 10.01.2022.

³ „ოცნებიდან“ წასულები აშშ-ის საელჩოს კლანურობასა და ხელისუფლებაზე შეტევაში ადანაშაულებენ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 16 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31990904.html>, განახლებულია: 10.01.2022.

⁴ „კობახიძე ყოფილ თანაპარტიელებზე: დეპუტატის კითხვა აშშ-ის ელჩისთვის შეურაცხყოფაა?“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 1-ლი აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31968976.html>, განახლებულია: 10.01.2022.

⁵ იქვე.

⁶ ესენი არიან: თეონა აქუბარდია („სტრატეგია აღმაშენებელი“), ხათუნა სამხიძე („რესპუბლიკური პარტია“), თამარ კორძაია (უპარტიო დეპუტატი), ანა ნაცვლიშვილი („ლელო“) და ანა ბურჯუაძე („საქართველოსთვის“).

⁷ „5 ქალი დეპუტატი განცხადებას ავრცელებს: აშშ-ის ელჩზე შეტევა აძლიერებს ანტიდასავლურ კამპანიას“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 1-ლი აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31968647.html>, განახლებულია: 10.01.2022.

მიმართ⁸ და სრული მხარდაჭერა გამოუცხადა. დეპუტატებმა კიდევ ერთხელ მკაფიოდ დააფიქსირეს თავიანთი პროდასავლური პოზიცია და ევროატლანტიკური მისწრაფებები.⁹ გარდა ამისა, მათ მმართველი პარტიის ყოფილი თავმჯდომარე ბიძინა ივანიშვილი ცილისმწამებლური კამპანიის ირიბად წახალისებასა და მასში მონაწილეობაში დაადანაშაულეს, ვინაიდან იგი ამერიკის ელჩ დეგნანთან საუბრის შინაარსს არ ასაჯაროებდა. ამასთანავე, საგანგაშოდ მიიჩნიეს სასამართლო კორპუსის მონაწილეობა დეზინფორმაციულ კამპანიაში.¹⁰

„ქართული ოცნებიდან“ წასული 4 დეპუტატის ბრალდებები ეხებოდა ასევე აშშ-ის საელჩოს მხრიდან სასამართლო ხელისუფლებაზე შესაძლო ზეწოლას. თავად სასამართლო სისტემაში „კლანის“ არსებობის ხელშეწყობაში მხილებული მმართველი პარტიის ყოფილი დეპუტატები აშშ-ის დიპლომატიურ წარმომადგენლობას სასამართლოს მიმართ კლანურ და სელექციურ მიდგომაში ადანაშაულებდნენ.¹¹ აშშ-ის ელჩმა ბრალდებები უარყო და მიუთითა მტკიცე კავშირზე საქართველოსა და აშშ-ის შორის. კელი დეგნანის თქმით, 4 დეპუტატის კავშირი „ქართულ ოცნებასთან“ აჩენდა ეჭვებს მმართველი პარტიის ჩართულობაზე საქართველოს სტრატეგიული პარტნიორების წინააღმდეგ დეზინფორმაციის კამპანიაში,¹² რაც მნიშვნელოვანი პრობლემა იყო ევროკავშირის 12-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში პოლარიზაციის დაძლევის კუთხით.¹³

II. ევროკავშირისა და საქართველოს ურთიერთობები

2.1. პარლამენტში ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის შესასრულებლად შექმნილი სამუშაო ჯგუფები

საქართველოს პარლამენტში აგვისტოს დასაწყისში დაანონსდა სამუშაო ჯგუფების შექმნა ევროკომისიის 12-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში საკანონმდებლო ცვლილებების გასატარებლად.¹⁴ ჯგუფები შეიქმნა თითქმის ყველა საკითხზე, რომლებსაც ევროკავშირის რეკომენდაციები მოიცავდა, მათ შორის: საარჩევნო და მართლმსაჯულების რეფორმები, საპარლამენტო კონტროლის ზოგიერთი საკითხი, ნორმატიული აქტების აღსრულების კონტროლი და სხვა.¹⁵ საია სამუშაო ჯგუფების მუშაობაში ჩაერთო.

საკანონმდებლო ორგანოში სამუშაო ჯგუფების შექმნასთან დაკავშირებით კონსულტაციები გაიმართა. პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა ოპოზიციის წინააღმდეგ შეხვედრისას ერთმანეთისგან გამიჯნა 12-პუნქტიანი გეგმის ფარგლებში ჯგუფების მუშაობა და საარჩევნო ბა-

⁸ „48 დეპუტატი გმობს აშშ-ისა და ევროკავშირის წინააღმდეგ ხელისუფლების „ცილისმწამებლურ“ კამპანიას“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 4 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/503055>, განახლებულია: 10.01.2022.

⁹ იქვე.

¹⁰ „ბიძინა ივანიშვილი საქართველოს ომში ჩართვის შესახებ მმართველი გუნდის გზავნილს იმეორებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 27 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/502163>, განახლებულია: 10.01.2022; „გვარამიას საქმის ყოფილი მოსამართლე ევროპარლამენტარს და აშშ-ს სასამართლო სისტემაზე ზეწოლაში ადანაშაულებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 15 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/500766>, განახლებულია: 10.01.2022.

¹¹ „„ოცნებიდან“ წასულები აშშ-ის საელჩოს კლანურობასა და ხელისუფლებაზე შეტევაში ადანაშაულებენ“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 16 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31990904.html>, განახლებულია: 10.01.2022.

¹² „კელი დეგნანი „ქართული ოცნებიდან“ გასული ოთხეულის ბრალდებებს პასუხობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 17 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/504772>, განახლებულია: 10.01.2022.

¹³ „კელი დეგნანი საქართველოსთან დაკავშირებულ აქტუალურ საკითხებზე საუბრობს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 9 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/503911>, განახლებულია: 10.01.2022.

¹⁴ „პარლამენტის თავმჯდომარე ოპოზიციურ პოლიტიკურ ჯგუფებს ხვდება“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 3 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge>, განახლებულია: 10.01.2022.

¹⁵ „იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა ევროკავშირის მიერ განსაზღვრული 12 პირობის შესასრულებლად 5 სამუშაო ჯგუფი შექმნა“ საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 4 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media>, განახლებულია: 10.01.2022.

რიერის დაწვევის საკითხი. პაპუაშვილის თქმით, ბარიერის თაობაზე გადაწყვეტილება 2022 წლის განმავლობაში არ იქნება მიღებული.¹⁶

საარჩევნო კანონმდებლობის ცვლილებასთან დაკავშირებით შექმნილი სამუშაო ჯგუფის ხელმძღვანელმა, „ქართული ოცნების“ დეპუტატმა გივი მიქანაძემ განაცხადა, რომ იგეგმებოდა ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების გათვალისწინება.¹⁷ ამ ჯგუფში „სამართლიანი არჩევნების“ ჩართვაზე „ქართული ოცნების“ უარმა მწვავე კრიტიკა გამოიწვია.¹⁸ მიქანაძის თქმით, ამ ორგანიზაციამ ნეიტრალიტეტი დაკარგა, როდესაც პრემიერ-მინისტრის გადაყენების მოთხოვნას შეუერთდა.¹⁹ არასამთავრობო სექტორისთვის განკუთვნილი იყო მხოლოდ 2 ადგილი, თუმცა მმართველმა პარტიამ არ დამალა საკუთარი ნეგატიური დამოკიდებულება „სამართლიანი არჩევნების“ მიმართ და მათთან თანამშრომლობაზე უარი განაცხადა.

„ქართული ოცნების“ ამ გადაწყვეტილების შემდეგ საიამ სამუშაო ჯგუფში საქმიანობა შეაჩერა იქამდე, ვიდრე მმართველი პარტია პროცესს კვლავ ინკლუზიურს არ გახდიდა.²⁰ მიუხედავად ამისა, ორგანიზაციამ ელექტრონული სახით მაინც წარადგინა რეკომენდაციები, რომლებიც შეეხებოდა საარჩევნო კანონმდებლობაში არსებულ ხარვეზებს, მათ შორის, საარჩევნო ადმინისტრაციის დაკომპლექტებას და პროცედურას, ადმინისტრაციული რესურსის ბოროტად გამოყენებას, ამომრჩევლის ნების კონტროლს, საარჩევნო ფინანსებს და სხვა.²¹ **საიას აზრით, „საარჩევნო კანონმდებლობის გადახედვა, საერთაშორისო სტანდარტებსა და რეკომენდაციებთან შესაბამისობაში მოყვანა ინკლუზიური პროცესია, რომელიც მოიაზრებს ყველა დაინტერესებული მხარის აქტიურ ჩართვას. მმართველი პარტიის ბოლოდროინდელი გადაწყვეტილება, რომ ამ მნიშვნელოვან პროცესში მონაწილეობაზე უარი უთხრას სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოებას (ISFED), ეუთო/ოდირის და, ამასთანავე, ევროპული კომისიის მეთავე რეკომენდაციის უხეშ დარღვევას წარმოადგენს“.** საიამ „ქართულ ოცნებას“ მოუწოდა, გაეაზრებინა მიღებული გადაწყვეტილების დამაზიანებელი გავლენა ევროკავშირის რეკომენდაციების შესრულებაზე და უზრუნველყო ყველა აქტორის სათანადო ჩართულობა სამუშაო ჯგუფში.

მოგვიანებით, ორგანიზაციისთვის ცნობილი გახდა, რომ მმართველი პარტია არ აპირებდა საიას წერილობითი რეკომენდაციების განხილვას, თუ ის სამუშაო ჯგუფის შეხვედრას არ დაესწრებოდა. ამის მიუხედავად, საიამ უარი განაცხადა ჯგუფის საქმიანობაში ჩართვაზე, სანამ პროცესი, სამართლიანი არჩევნებისა და დემოკრატიის საერთაშორისო საზოგადოების (ISFED) მონაწილე-

¹⁶ „შალვა პაპუაშვილი საპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლებს შეხვდა“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 3 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/media/>, განახლებულია: 10.01.2022.

¹⁷ „გივი მიქანაძე: საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის სამუშაო ჯგუფის მიზანია, მოხდეს საქართველოს საარჩევნო კოდექსის რევიზია ეუთო/ოდირისა და ვენეციის კომისიის რეკომენდაციების საფუძველზე“, საქართველოს პარლამენტის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 18 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://parliament.ge/>, განახლებულია: 10.01.2022.

¹⁸ „ISFED-ის არდამშვება პარლამენტის სამუშაო ჯგუფში კითხვებს აჩენს რეფორმის პროცესის გულწრფელობასთან დაკავშირებით - აშშ-ის საელჩო“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 19 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31996126.html>, განახლებულია: 10.01.2022; „საარჩევნო სისტემის რეფორმის სამუშაო ჯგუფში ISFED-ის ჩართვაზე უარისთვის მმართველ პარტიას აკრიტიკებენ“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 18 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/505044>, განახლებულია: 10.01.2022.

¹⁹ „საარჩევნო კოდექსის გადასინჯვის თაობაზე შექმნილ სამუშაო ჯგუფში, რომლის პირველი შეხვედრაც პარლამენტში იმართება, „სამართლიანი არჩევნების“ მონაწილეობის უფლება არ მისცეს“, საინფორმაციო პორტალი „ინტერპრესნიუსი“, 2022 წლის 18 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.interpressnews.ge/>, განახლებულია: 10.01.2022.

²⁰ „ქართული ოცნება“ წინააღმდეგია ISFED საარჩევნო საკითხებზე მომუშავე ჯგუფის წევრი იყოს“, საინფორმაციო პორტალი „რადიო თავისუფლება“, 2022 წლის 18 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.radiotavisupleba.ge/a/31994261.html>, განახლებულია: 10.01.2022.

²¹ „საიამ პარლამენტს საარჩევნო კანონმდებლობის გაუმჯობესების თაობაზე მოსაზრებები წარუდგინა“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 25 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/ge/>, განახლებულია: 10.01.2022.

ობით, სრულიად ინკლუზიური არ გახდებოდა.²² საქართველოში ევროკავშირის წარმომადგენლობის აზრით, საარჩევნო საკითხებზე შექმნილი ჯგუფის მუშაობაში ჩართვის შესაძლებლობა ყველა არასამთავრობო ორგანიზაციას უნდა ჰქონოდა, რაც ეფუძნებოდა 12-პუნქტიანი გეგმის ერთ-ერთ მოთხოვნას გადანყვეტილებათა მიღების პროცესში სამოქალაქო ორგანიზაციების მონაწილეობის შესახებ. ანალოგიური მონოდებით გამოვიდა ამერიკის საელჩო საქართველოში.²³

იმავედროულად, საკუთარი ალტერნატიული სამუშაო ჯგუფები შექმნა ოპოზიციის ნაწილმა და საკანონმდებლო ცვლილებების შემუშავება დააანონსა. ამგვარი პარალელური პროცესის წამოწყება საიას თავმჯდომარე ნიკა სიმონიშვილმა გააკრიტიკა.²⁴

2.2. ევროკავშირის ანგარიში საქართველოს ევროინტეგრაციის პროცესის შესახებ

ევროკომისიამ 2021-2022 წლების ანგარიში გამოაქვეყნა,²⁵ რომელშიც შეფასებულია საქართველო-ევროკავშირის შორის ასოცირების შეთანხმებით (AA) ნაკისრი ვალდებულებების შესრულება. 2020 წლის არჩევნებთან მიმართებით ანგარიშში აღნიშნულია, რომ პოლარიზაციის განმუხტვის ნაცვლად, სამოქალაქო საზოგადოება კიდევ უფრო მეტად გაიყო როგორც ხელისუფლების, ისე ოპოზიციური ძალების ქმედებების შედეგად. არჩევნების შემდეგ „მარლ მიშელის შეთანხმების“ შეუსრულებლობა ამის ნათელი გამოვლინება იყო. ანგარიშის მიხედვით, 2020 წლის არჩევნები კონკურენტულ გარემოში და, ზოგადად, კარგი ადმინისტრირების პირობებში ჩატარდა. თუმცა, ეჭვები ამომრჩევლებზე ზენოლის შესახებ, ასევე რესურსების არათანაბარი გადანაწილება ოპოზიციასა და მმართველ პარტიას შორის ინვევდა პროცესის დისბალანსს ამ უკანასკნელის სასარგებლოდ. პოლარიზაციის პრობლემა ანგარიშში მრავალჯერ არის ნახსენები - 2021 წლის ადგილობრივ არჩევნებთან, პოლიტიკურად სენსიტიურ საქმეებსა²⁶ და მედიაგარემოსთან მიმართებით.

ანგარიშში ასევე გაკრიტიკებულია სახელმწიფო ინსპექტორის სამსახურის უეცარი გაუქმება,²⁷ მედიაგარემოს ზოგადი გაუარესება, ღირსების მარშის ჩაშლა, დიპლომატიურ წარმომადგენლობათა მოსმენის ფაქტები და სახალხო დამცველის აპარატის დისკრედიტაციის მცდელობები. პოზიტიურად არის შეფასებული სახელმწიფოს პროგრესი საჯარო მმართველობის სისტემის რეფორმის, სამოქალაქო საზოგადოების აქტიურობისა და სახალხო დამცველის საქმიანობის კუთხით. ანგარიშის მიხედვით, გაუმჯობესება იგრძნობა, თუმცა ტემპი ასაჩქარებელია.

III. ცესკოს თავმჯდომარის არჩევის პროცესი

საქართველოს პრეზიდენტმა 6 აგვისტოს გამოაქვეყნა განცხადება და განმარტა, რატომ აღარ წარუდგინა პარლამენტს მესამედ ცესკოს თავმჯდომარეობისა და ნევრობის პოსტებზე მოქმედი თავმჯდომარის, გიორგი კალანდარიშვილისა და ასევე მოქმედი ორი ნევრის კანდიდატურები. სალომე ზურაბიშვილის თქმით, ამის მიზეზი ის იყოს, რომ მათ წინა ორ ჯერზე ხმების უმრავლესობა

²² იქვე.

²³ „აშშ-ის საელჩო: საარჩევნო რეფორმების ჯგუფში ISFED-ის არდაშვება ევროკომისიის რეკომენდაციას ეწინააღმდეგება“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 19 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/505240>, განახლებულია: 10.01.2022.

²⁴ „ოპოზიციის ნაწილმა ევროკომისიის რეკომენდაციების შესრულებისთვის ალტერნატიული სამუშაო პროცესი დაიწყო“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 7 ივლისი, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/502000>, განახლებულია: 10.01.2022.

²⁵ „საქართველო: ევროკავშირის ყოველწლიური ანგარიში ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებაში გარკვეულ წინსვლას აღნიშნავს და ხაზს უსვამს შემდგომი ინკლუზიური რეფორმების საჭიროებას“, ევროკავშირის დიპლომატიური წარმომადგენლობა საქართველოში, ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 13 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://bit.ly/3RpGw5C>, განახლებულია: 10.01.2022.

²⁶ იქვე, 6.

²⁷ იქვე.

(2/3) ვერ მოიპოვეს და დეპუტატებმა ისინი ორივეჯერ, 5 წლის ნაცვლად, მხოლოდ 6 თვის ვადით აირჩიეს.²⁸ ამ განცხადებას გამოეხმაურა ცენტრალური საარჩევნო კომისია, რომელმაც აღნიშნა, რომ პრეზიდენტის ადმინისტრაციის განმარტება სალომე ზურაბიშვილის პოლიტიკურ მოტივებზე მიუთითებდა.²⁹

IV. სენაკის შუამდგარი საკრებულო

1-ელ ოქტომბერს ცენტრალურმა საარჩევნო კომისიამ შუალედური არჩევნები დანიშნა სენაკში, სადაც მოსახლეობა ერთ მაჟორიტარ დეპუტატს აირჩევს. საიამ გაავრცელა განცხადება, რომ ეს არჩევნები კანონს არ შეესაბამებოდა და მისი გაუქმების მოთხოვნით თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა.³⁰ ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსზე მითითებით, საიამ აღნიშნა, რომ, ვინაიდან სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულო უკვე 6 თვეზე მეტია არ შეკრებილა, არსებობდა მისი უფლებამოსილების შეწყვეტის უპირობო საფუძველი და მუნიციპალიტეტში რიგგარეშე არჩევნების დანიშვნის წინაპირობა.³¹ გამომდინარე იქიდან, რომ საქართველოს მთავრობამ საკუთარი ინიციატივით არ შეასრულა კანონით გათვალისწინებული ვალდებულება, საიამ მას განცხადებით მიმართა და მოითხოვა სენაკის მუნიციპალიტეტის საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტის თაობაზე აქტის გამოცემა. ამ დროისთვის არ არის ცნობილი მთავრობის ოფიციალური პოზიცია განცხადებაში დასმულ საკითხთან დაკავშირებით.³² სამართლებრივი აქტის გამოცემის მოთხოვნით, საიამ მთავრობის წინააღმდეგ თბილისის საქალაქო სასამართლოში სარჩელიც შეიტანა.³³ საქმეზე ჯერჯერობით არ არის მიღებული რაიმე გადაწყვეტილება.

სენაკის საკრებულოში მიმდინარე პროცესებს სხვადასხვა პოლიტიკური ჯგუფი გამოეხმაურა. ცესკოს მიერ სენაკში მხოლოდ მაჟორიტარულ ოლქში შუალედური არჩევნების დანიშვნა გააკრიტიკეს ყოფილი პრემიერის, გიორგი გახარიას პარტიაშიც (პარტია „საქართველოსთვის“). მისმა ერთ-ერთმა ლიდერმა ბერდია სიჭინავამ 13 აგვისტოს განაცხადა, რომ საარჩევნო ადმინისტრაცია „არის „ოცნების“ პარტიული დანამატი“, მისი გადაწყვეტილება კი - „უკანონო“.³⁴

²⁸ „პრეზიდენტმა ცესკოს თავმჯდომარეობისა და წევრობის კანდიდატები შეარჩია“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 6 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/503393>, განახლებულია: 10.01.2022.

²⁹ „ცესკო პრეზიდენტს „პოლიტიკურად მოტივირებული“ გადაწყვეტილების მიღებაში ადანაშაულებს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 8 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/503706>, განახლებულია: 10.01.2022.

³⁰ „საია სენაკის საკრებულოს შუალედური არჩევნების გაუქმებას ითხოვს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 15 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/504608>, განახლებულია: 10.01.2022; „საია სენაკში ცესკოს მიერ დანიშნული შუალედური არჩევნების გაუქმებას ითხოვს“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 15 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/ge/>, განახლებულია: 10.01.2022.

³¹ იქვე.

³² „საია საქართველოს მთავრობის წინააღმდეგ იწყებს დავას სენაკის საკრებულოს უფლებამოსილების შეწყვეტასთან დაკავშირებით“, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის ოფიციალური ვებგვერდი, 2022 წლის 31 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://www.gyla.ge/ge/>, განახლებულია: 10.01.2022.

³³ იქვე.

³⁴ „საია სენაკის საკრებულოს შუალედური არჩევნების გაუქმებას ითხოვს“, საინფორმაციო პორტალი „Civil.ge“, 2022 წლის 15 აგვისტო, ხელმისაწვდომია: <https://civil.ge/ka/archives/504608>, განახლებულია: 10.01.2022.